

დ რ თ ე ბ

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 86.

კვირა, 18 აპრილი 1910 წ.

დამატების № 16



მენელმცხებელნი დედანი.

ძველი ქართული მხატვრობა. ეს სურათი გადმოღებულია გელათის ძველი სახარებიდან გაგარინის მიერ.

მ ს ხ მ მ რ კ ლ ი

დრამა 3 მოქმედებად, სოფლის ცხოვრებიდან.

(შემდგომი *)

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ო რ ე

უკანა სტენაზე, მარჯვენა კუთხეში ორ-სართულიანი სახლი აიგინათ. სახლის მარცხენა მხარეს დაბალი მთაჯირია, იმის უკან, ცოტა მოშორებით დიდი კაკლის ხეა, და მერე მოსხანს ვეჩხა. წინა სტენაზე, მარჯვნივ სამზარეულოს და სხვა შენობებია. სამზარეულოსთან ორი-სამი დიდი ხე სდგას. სტენის მარცხენა მხარეს ხეხილი და ბუჩქებია. ნატო სამზარეულოს გვერდზე ხეს არის მოფარებული.

სონა. (ჩამოდის აიგინიდან ქვევით კუბში და სამზარეულოსკენ მიდის) ღმერთო, როგორ აგვიანებს ეს ხალხი... ელენე, ელენე, რა დაგემართათ!

ელენე. (სამზარეულოს კარებში გამჩნდება) ამ საათში, ბატონო!

სონა. რა ვქნა, რა არის?... სად დაიკარგე... აქამდის სტოლიც არ გაგიშლიათ... როდისღა უნდა ვისადილოთ?! კნიაზ ვასოს მოშვიდებოდა... წამოდი ჩქარა... სურფრა-სალფეტკი წამოიღე... არ დაგავიწყდეს, ჩემი კაფეინის სერვიზიტო მოამზადე... კნიაზ ვასოს უყვარს სადილის მერე ყავა... ყავა ხომ დადგი?

ელენე. დიახ, ეხლავ გიახლებით. სად უნდა გავშალოთ სტოლი? კაკლის ქვეშ?

სონა. მაშ, მაშ... კნიაზ ვასოს, და... მეც ისე გვიყვარს ის ადგილი...

ელენე. (მიუახლოვდება) ქალბატონო (უხვევებს ნატოსკენ) იქ ნატუა გიცდით, თქვენი ნახვა უნდა ძლიერ... საქმე მაქვსო. მთხოვდა გამოუძახეო, და მე ვერ შეგაწუხეთ... საწყალი, მგონი ავით არის, ისეთი ცუდი ფერი ადევს...

სონა. ნატო? რომელი ნატო?

ელენე. აი, ტეტთან გიგუას ცოლი, თქვენი ნამუხბლარი... რა ვქნა მეთქი, აბა ეხლა რა დროსია, უთხარი... შენი ჭირიმეო, ძრიელ საქმე მაქვსო... ისე შეგვეწებოდა...

სონა. ოჰ, ღმერთო, რა დროს მოსვლა იყო, აბა სადა მცალიან!.. არ შეეძლო მერე მოსულიყო... სად არის?...

ელენე. სამზარეულოს გვერდზე დგას... უთხარი აქ შემოსულიყო, მაგრამ არა ქნა...

სონა. მაშ კარგი, შენ წადი... სურფრა-სალფეტკი ამოიღე დანა-ჩანგლის შესადგმელები არ დაგავიწყდეს... დედას მოახსენე, ვერცხლის კოვზები მოგცეს... მეც ახლავე მოვდივარ (ეღუნე მიდის, სონა წაჭა ნატოსკენ. ნატო ხეს მოშორდება და მიუახლოვდება სონას).

სონა. ახ! როგორ შემაშინე, ისე უეცრად გამოჩნდი... (ნატო ხეზე აკოცებს) სადა ხარ? ერთხელ არ სადა მნახე... ვერე უნდა? რა მოგვსვლია... რა რიგად გაფითრებულხარ!.. ავით ხომ არა ხარ? წამალი გენდომება... დოხტური გენდომება... მაგრამ ეხლა აბა არა სცალიან დოხტურს, კარტსა თამაშობენ...

ნატო. ქალბატონო, შენი სულის ჭირიმე, გვიშველე, ვიღუპებით... კაცი დავკარგეთ... ვანუა დაიჭირეს... შენი იმედი და გვაქვს. ბატონ პრისტავს შენი ხათრი აქვს... სთხოვე, აგრემც ღმერთი გაგაბედნიერებს...

სონა. ვიცი, რომ დაიჭირეს, კაცი მოჰკლა და დაიჭირეს... მერე შენ რა?... მაგრამ ჰო-ო! (უქნევს თითს) მახსოვს, მახსოვს... განა კიდევ გიყვარს?... ძალიან გიყვარს?... ოხ,

ღმერთო, რა კარგია სიყვარული... ისე გიხარია... რომ... ასე გგონია მთელი ქვეყანა გიცინისო. მზათა ხარ ყველას გადაებვიო (მაჩხვავა ნატოს) ნატო, კარგია ცოლ-ქრმოზა არა?... რასა ჰკანკალებ, იქნება გცივა?... ხომ არ გაციებს?... როდის იქნება, რომ მეც გავთხოვდე... ისე მომწყინდა ასე ყოფნა... შენ ბედნიერი ხარ, ქმარი გყავს... მაგრამ, აჰაი, აჰაი, როგორ შეიძლება რომ სხვა გიყვარს?! ძალიან გიყვარს? ნუ გეშინიან, რა რიგად სცახცახობ, აქ ხომ ვერაფერს გავგიგონებს... მართლა, ვანუა კი ლამაზი ბიჭია... მაგრამ ფუი, კაცო მოკლა... ისიც რისთვის ფულის გულისთვის... ოხ, ისე ჯავრობდა კნიაზი ვასო, მე ვგრე გაჯავრებული არც ერთხელ არ მინახამს...

ნატო. არა, არა, შენი ჭირიმე, ის კაცს მკვლელი არ არის, უდანაშაულოთ იღუპება.

სონა. აბა რას ამბობ, დედაკაცო! კაცმა კაცი მოჰკლა და არაფერი დაუშავებიაო. იცო, კნიაზი ვასო რას ამბობს! ჩამოახრჩობენო...

ნატო. (სტატებს ხელებს) არ შეიძლება ეგ, არა! გეფიცები, შენს გვირგვინს ვფიცავ, ის კაცი მართალია, იმას არა ჩაუდენიარა... განგებ იღო ბრალი, სოფლის დასხნა უნდოდა...

სონა. რა ვქნა, კნიაზი ვასო ამბობს, თითონ გამოტყდაო, ისეთი ყოჩაღათ კი გამოვიდაო... ასეთი ჩვილი გული აქვს ჩემს ვასოს... მეც კი შემეცოდაო...

ნატო. დედიჩემის საფლავს გეფიცები, ვანუა არ არის მკვლელი...

სონა. თოფიც თითონ გვიჩვენაო...

ნატო. თოფი (შეკრთება) ჰო... თოფი... თითონ უჩვენა... იქნება... იქნება ვინმე განგებ შეუგლო თოფი საბძელში...

სონა. მართლა, აქნება ვგრეც იყო... მაშ შენა გგონია, რომ ტყუილად დაიბრალო? ახ, რა გიბირი ყოფილა! აი კნიაზი ვასოც ისეთი გულაღია... წარმოიდგინე არაფრისა არ ეშინიან... რამდენჯერ გამიფოხილებია, ისე მეშინიან ხოლმე. სულ ყაჩაღებს დასდევს... თურმე ყველაზე წინ მიდის ხოლმე, სტრაჟნიკები ვერ მისდევენ... ისეთი მეშინიან...

ნატო. შენი სულის ჭირიმე, სთხოვე, შეგხვეწე, გამოიძიოს, გაარჩიოს, ის კაცი სულ ტყუილად იღუპება... არაფერშია დამნაშავე, ცოდოა...

სონა. კარგი, კარგი, ვთხოვ და დარწმუნებული ვარ ამისრულებს კიდევ... ნუ გეშინიან... ძალიან გიყვარს? დაცა, შენ ქმარს უთხრა... (ნატო შეკრთება) კარგი, კარგი, ვხუმრობ... ო-ო, მე კარგათ ვცი საიდუმლოების შენახვა... აი, ერთ ჩემ ამხანაგს, ლიზას, განსოვს, ჩვენსა რომ დაიარებოდა, იმან ხომ ქმარი აფიცერი შეირთო... იმასაც სხვა უყვარდა, ყველაფერს მეუბნებოდა ხოლმე, მაგრამ მე არავისთვის არაფერი მითქვამს წარმოიდგინე, კნიაზ ვასოსთანაც კი არა მითქვამს რა... მაგრამ განა შეიძლება, რომ ქმრიან ქალს სხვა უყვარდეს?! ეგ მე ვერ გამოვიან... რა ვიცი, ლიზამ კი დამარწმუნა შეიძლებაო... ახლა აი შენცა...

ნატო. შენ გენაცვალოს ჩემი თავი... გვიშველე... განა არ გებრალეება ის უმანკო მართალი კაცი? იღუპება, რაზე? სხვის ცოდოზე... იმისი მოხუცი დედა... აბა წარმოიდგინე იმისი ამბავი... მშვენიერო ქალბატონო, კეთილი გული გაქვს, უშველე მართალ კაცს, ნუ დაედება ეგ ცოდო ნურც კნიაზს, ნურც შენ... აგრემც დაგიმშვენდება გვირგვინი... შენი სულის ჭირიმე, ღმერთი გაგაბედნიერებს, ხალხი სულ შენ სახელს ილოცავს... მთელი სოფელი ტირის... შენი ჭირიმე (ჭკოცნის ხელებს) გვიშველე და მთელ სიცოცხლეს შენ შემოგწირამ... (ტრის)

სონა. უიმე, სტირი... აბა მეც ამაღლე... არ შემიძლიან ცრემლები დაგინახო, მეც მაშინათვე ტირილი მომი-

*) იხ. სურათებიანი დამატება № 15.

სურათებიანი დამატება

ვა ხოლმე... კარგი, კარგი, ვთხოვ... საცოდავი ვანუა...
 ნუ თუ მართალია უდანაშაულოა... უთოთ ვთხოვ კნიაზ
 ვასოს... დამშვიდდი, თორემ მეც ვიტყვები... თვალები გა-
 მიწითლდება და იმდენ სტუმრებში... მერე ვინ იცის, რას
 იფიქრებენ... კარგი, კარგი, ხომ გითხარ, ვთხოვ მეთქი...
 უიმე ქა მე აქა ვდგევარ, და საღილი კი დამავიწყდა...
 ნუ სტირი, გესმის, ნუ სტირი, მე გავაკეთებ მაგ საქმეს...
 მშვიდობით... საღამოზე მოდი, მაშინ შეგატყობინებ...
 (კაბჭუნდება და მიხბის სისხლში)

ნატო. ღვთის მშობელო, ქალწულო! შენ უშველე იმ
 ბედშავს... სთხოვს, ვიცი სთხოვს... აუსრულეებს? ძალიან უყ-
 ვარსო და სიყვარული კაცს რას არ ჩაადენინებს... „ძალიან
 გიყვარსო“?.. ღმერთო, შენ ხედავ, რომ წმინდა ვარ... არ
 მილალოტნია, მაგრამ მი-
 ყვარს, მიყვარს. ცოდოა,
 ვიცი, მაგრამ რას ვიზამ...
 მიყვარს... და მევე დავ-
 ლუბე... ოჰ, ღმერთო,
 ისევ, მე, ისევ მე დავი-
 ლუბო... და ის კი დაი-
 ხსენი... ვანო, რა მიყავ,
 რა! აგრე გადამიხადე?...
 ისევ ხანჯალი [დაგეცა,
 მოგეკალი, არა სჯობ-
 და... მე უბედური, რათ
 არ გავყე ჩემს გრძნო-
 ბას... მორჩილობა ვირ-
 ჩიე, მამის ბძანებას, მუ-
 ქარას, წყევლას ვერ გა-
 უძელი... და აი, რა ცე-
 ცხლში ჩავარდი... რა
 მიყავ, ვანო? გავცვალე,
 გილალოტე, და აკი მა-
 გიერიც ვადამიხადე... მე-
 რე რა მაგიერი... ჯანა-
 ბას ჩემთავი... ოღონდ
 შენ, შენ... (მარტხნივ
 გამოხსნდება მამასახლი-
 სი, ჩონაშვილი და ლუ-
 კა. ნატო სწრაფად გავს).

ლუკა. მაშ წაიყვან-
 ნეს?...
ჩონაშ. წაიყვანეს,
 ბორკოლები დადეს...
მამ. საცოდავმა, დაი-
 ლუბა თავი, რაზე, რის-
 თვის?

ჩონაშ. კაცო, ბევრი
 ყაჩაღი, მკვლელი მინახავ,
 მაგრამ ეგ რაღაც სხვანაირია... რავიცი, არ უნდა იყოს ისეთი
 კაცი... არ მჯერა, კაცო, რომ ეგ მკვლელია. სახე სულ
 სხვა ნაირი აქვს. მაგრამ ე თოფი რაღაა, ადამიანო... საი-
 დან ჩაუვარდა ხელში? მაგრამ, იცი რა საცოდაობა იყო?
 სოფელმა რო სთხოვა პრისტავს, დედა ძან შეწუხებულთაო,
 შვილის ნახვა უნდაო... პრისტავიც ხომ დათანხმდა... შე-
 ვიდა ი ვანუასთან, მეც თან შევყევი. პრისტავმა ჰკითხა,
 დედიშენის ნახვა გინდაო? შემოუშვებო. ი კაცი ისე აკან-
 კალდა, სუ ცახცახი დაიწყო... ხმა ვეღარ ამოიღო, ოო
 გადმოყარა ცრემლები, ისეთი სახე ჰქონდა, რომ მეც კი
 გულში რაღაც თითქოს მძებერა, პრისტავმაც თავი ჩაღუნა,
 იმასაც კი შეეცოდა... მაშ შემოვიყვანო? ჰკითხა... რო-
 გორღაც დაიკლაკნა ი ბიჭი. „არაო, არაო ღირსი არა ვა-
 რა“, და ერთი ისეთი ამოიკვნესა, რო გასქდა გული, ვეღარ
 შეკავა პრისტავმა თავი, გამოვარდა გარეთ, მეც თან გა-
 მოვყევი... წაიყვანეს უბედური დედა, მარტო კვნესა და
 ისმოდა საცოდავ მოხუცისა. აბა, ძმაო, ბევრი რამ მინახამ,

ბევრს შევხვედრივარ, ბევრი ტუსაღისთვის მიცქერებდა
 რამ ეს ჩემ დღეში არ დამავიწყდება. სულ თვალ წინ მიდ-
 გა იმისი სახე, იმისი ცრემლები. რა ვიცი, გული მითქვამს,
 ის მკვლელი არ უნდა იყოს...

მამ. ადამიანო, მთელი სოფელი დიდიან-პატარიან ჰფი-
 ცამს, ეგ ვანუას საქმე არ არის... ღმერთო შეგცოდე, აი
 გიგუაზე რო ეთქვათ,—დავიჯერებდი, მაგრამ ვანო... არა
 ძმაო, აი ყელი გამოშქერი, მაინც იმას ვიტყვი, რომ ის
 ტყუილად დაიკარგა...

ლუკა. მაშ ის ოხერი თოფი რაღა იყო? უფლის მად-
 ლმა, მეც ვანუა მართალი მგონია, მაგრამ ე თოფი რა-
 ლა ოხრობაა!

ჩონ. ვინ იცის, საქმე როგორ არის...

ლუკა. ახლა ნეტა რას
 უზამენ ი უბედურსა.

ჩონ. არ იცი, რასა...

ლუკა. მაშ ჩამოახრ-
 ჩობენ...

ჩონ. ჰა რა გეგონა.

მამას. ჰაი დედასა ბი-
 კო, რა კაცი გაფუქდა!
 (ამდრას ელენე კამოფა აიხ
 ვანსე).

ელენე. ლუკა! ქალ-
 ბატონი გიბძანებს... (შევა
 ისევე ოთახში).

ლუკა. ემ საათში...
 (იმათ) თქვენ სამხარეუ-
 ლოში მოიცადეთ (შიდის).

ჩონ. აბა, ლუკა, მოა-
 ხსენე პრისტავს, აქ არიან
 თქო...

ლუკა. კარგი (ადის
 ზეგით ოთახში. მამასახლი-
 სი და ჩონაშვილი სამხა-
 რეულში შედიან. ბოქაუ-
 ლი გამოფა აივანზე და
 ჩამოფა ქვევით).

ბოქ. ჩონაშვილო!

ჩონ. (სამხარეულადან)
 აქ ვახლოვართ, ბატო-
 ნო! (ისდა მამასახლისი
 გამოდის).

ბოქ. (ჩონაშვილს) წაი-
 ყვანეს?

ჩონ. დიან, ბატონო.
 მიხალენკოც თან ვაჰყვა
 ყაზახებს... ლაპორტიც
 წაიღო.

ი ა,
 სურათი გ. გიკისისა.



ბოქ. (მამასახლისს) შენ რაღა ჰქენი? აკრიფე ფული?
 ლაღებისას რას შვრებით?

მამას. ლაღები მზათ ვახლომთ, შენი ჰირიმე. ხვალ
 დილაზე მოვარომევთ კნიაზ. ფულიც სულ შეგროვილია,
 მარტო ერთზე და დარჩა...

ბოქ. ვინე?

მამ. ი ვანიუაზე, შენი ჰირიმე... აბა ეხლა დედაც შე-
 წუხებულთა და...

ბოქ. რას ამბობ, კაცო? ვერ გაიგე, რა ბძანებაა?
 დღესვე ფული მზათ უნდა იყოსო... შენა გგონია, ბევრს
 დასდევნ შეწუხებულთა ვინმე თუ არა... ხაზინის ფულია,
 შენ ხომ არ ეხემრები...

მამ. მაგასაც მოვართმევთ, შენი ჰირიმე, სოფელი მის-
 ცემს, შევაგროვებთ... რაა სულ ორი და ათი შაური ვახ-
 ლამთ... დილაზე სრულათ მოვართმევთ.

ბოქ. არ დაავიანო... ხვალ დილის ცხრა საათზე უნ-
 და წავიდე!

მამ. ბატონი ბძანდებით, შენი ქირიმე...

ბოქ. ხომ გითხარი, ხალხი არსად შეიკრიფოს... ჩუჩნი არა იყოს რა. თვალი გეკიროს... ის ვაჭბატონები თუ კიდევ გაჩნდნენ, შემატყობინე მაშინვე... კაცები ხომ გყავს... იმ დღესაც ყოფილან...

მამ. მე აქ არ ვახლდით, შენი ქირიმე... უდელში დამიბარეს... ნაცვალის თქვენსა გზლებიყოთ...

ბოქ. კარგი, ეს იცოდე, თუ კიდევ შევიტყე, რომ სოფელში იყო ვინმე ისეთი, ტყავს გაგაძრობ... წადი ეხლა და ფული, ფული არ დაგაფიწყდეს...

მამ. მოგართმევთ, შენი ქირიმე... გადღეგძელა ღმერთმა (წავა).

ბოქ. (ჩახსშვიდეს) შენ იქ სამზარეულოში შედი, მოიცადე, იქნება დამკირდე... (დაბრუნდება სხვში. ჩახსშვიდა სამზარეულოში შევა. აივანზე გამოვლენ კნენის ბაზბაჟ და ლუკა).

ბარბ. აბა, ლუკა, სადილი დააჩქარე... ინდოური შესდგომ? ჩიხირთმა არ აგეკრას... სტოლს იქ, კაკლის ქვეშ გაშლით. ბიჭები სადღა არიან?

ლუკა. მარანში გავგზავნე ღვინის ამოსატანად, ეხლავე გიახლებიან...

ბარბ. რა არის, ადამიანო, ხახვით აგრე რომ არ ვამაძლარიყავ? ვინ იცის გადაჰკარი კიდევ.

ლუკა. თქვენ სადღეგრძელოთ საქუასთან ერთი რუნკა არაყი გიახელით, მაციებს და ძანა მრგებს...

ბარბ. რატომ ხინას არა სომ, თუ გინდა მოვცემ...

ლუკა. ე—ე, დალოცვილო, ხინა რას მარგებს... თუ თქვენი წყალობა იქნება, ი ყვითელი არყისა ერთი რუნკა მიბოძეთ. იმ დღეს, ღმერთმა აღღეგძელოს, ბარიშნამ მიბოძა და ისე მარგო, რომ აი სამი დღე აღარ გაუციებია...

ბარბ. დღეში რამდენჯერ გაციებს საარყეთ? შენ როგორც გატყობ, ძალიან მიჰყე ხელი... ემანდ არა დამიტვრიორა, ან არა გააფუჰორა... წადი, წადი დააჩქარე სადილი. ელენე სტოლს გაშლის... ახალი თევზი მაინც გეშოვნა...

ლუკა. საქუამ მოგახსენათ, მე მოვართმევო... ღვინოსაც მოიტანს...

ბარბ. მაშ კარგი, აბა დეეშურე. (შევა ოთახში ლუკა ჩამოღის და სამზარეულოსკენ მიდის).

ლუკა. ჰვი, გიდი! იქ კაცი იღუბება, აქ ღვინი იმართება... მერე რა კაცი დიკარგა, ეს ოხერი რა გვსჯიდა, ვეყრებოდით ჩვენთვის... მაგრამ ერთ რიგათ კი კარგი იყო... რა ამბები ხდებოდა... მაშინ ჩვენ ღვინი გვექონდა, ამათ ვაი ვაგლახი... ახლა ისევ გადაბრუნდა... ჩორტიოზნაი, რა ამბავია... ე-ე, საწყალი ვანუა... (შევა სამზარეულოში. ჭურჭლით ხელში გამოვა ელენე, ჩამოღის ქვეით, შედის ბაღში, იწყებს სუფრის გაშლას).

ელენე. ლუკა, ლუკა! მანდ დანა ჩანგალია და წამოიღე.

ლუკა. (სამზარეულოს კარებიდან) შენმა სიცოცხლემ, შენ კი ფეხები დაგემტვრევა, მოდი და წაიღე.

ელენე. თვალმც დაგიდგება... ვერა ხედავ სტოლსა ვშლი, რომელი ერთი გავაკეთო (შემაგა მისამას. ბიჭი თედო). (ელენე იმას) სად ჯანაბას დაეთრევი... არ იცი, რო სტოლი უნდა გაიშალოს... გასწი ჩქარა ემა სამზარეულოსთან დანა-ჩანგალი გამოიტანე...

თედო. (მიდის სამზარეულოსკენ, თან გვერდ-გვერდ უცქერის ელენეს) რა კრუხივითა ცხარობ, შენც ახალი ქალბატონი გამიხდი?! (შევა სამზარეულოში, გამოიტანს დანა-ჩანგალს, მივა და შეეღის ელენეს. გაიღება სხვის კარები, რომელიც ბაღში გამოღის და გამოვა სონა).

სონა. აბა, აი ვერცხლის კოვზები... (შემაგა მისამას დააწყე... ქვემოთ ძველი; ფრაქები დაღე, არა უნდა... (ბიჭს) უ, ტა, ტა, ტა... რა ჭუჭყიანი ხელები გაქვს... გასწი, გასწი დაიბანე...

თედო. რავი, დილას კი დავიბანე... სუფთებია...

სონა. კაი მოგივა, კაი სუფთებია... გასწი, გასწი დაიბანე, საპნით დაიბანე... ან ეგ რა არი თავს მაინც დაივარცხნიდი... ღმერთო, ეს რა ხალხია!

თედო. შე დალოცვილო, თავის დავარცხნისთვის თუ მკალიან (წავა სამზარეულოში და ცოტას შემდეგ ისევ დაბრუნდება).

სონა. (ელენეს) რა ვქა... როგორ აწყობ, ელენე, აქამდის ვერ ისწავლე! (თათან აწყობს) საღმეტკები ასე უნდა, კოვზები ასე... აბა წადი თევზები და მათლაფები ჩამოიტანე... (ბიჭს) გაიქე შენც ზაკუსკეულობა ჩამოიტანე, იქ ქალბატონი მოგცემს... არა დაამტვრიორა... (ელენე და ბიჭი ავლენ სხვში, და შემდეგში რამდენჯერმე დაიან და ჩამოდაიან, შაქვთ ჭურჭელი, ბოთლები და სხვა...)

სონა. რა ვქნა, ის ნატო თვალისადა, არა მშორდება... რა რიგათ შეწუხებული იყო. მეც ჯერ ვასოს ვერა უთხარიორა, იქ იმდენ ხალხში... საცოდავი ვანო, მე ძალიან მებრალედა... (ამ დროს გამოვა ბიჭი უფი ქვემო კარებიდან და ცოტა ხანს უცქერის სონას, სონა ვერა მხედავს, და ასწორებს ჭურჭელს).

ბოქ. კნიაჟნა სონა!

სონა. (შეკრთება) ახ! როგორ შემაშინეთ!..

ბოქ. (მიუახლოვდება) მაპატიეთ... მაპატიეთ... ოხ, რა გემრიელი სადილი იქნება დღეს... თქვენი პაწია ხელებით მომზადებული სტოლი...

სონა. მე ძალიან მიყვარს დიასახლისობა... მოსამსახურენი, აბა ხომ იცით, ისე თავის დღეში ვერ გააკეთებენ...

ბოქ. მე დიდათ მოხარული ვარ... (ჭკოცის ხელზე).

სონა. უიმე, როგორ შეიძლება... (გამართმევს ხელს).

ბოქ. რა არის, განა ნება არა მაქვს... მოვლენ ელენე და თედო. სონა და ბიჭი დაიწყებენ სიარულს) კნიაჟნა, თითქოს რაღაც უსიამოვნოთ ბძანდებით... მე ხომ არა დავაშავერა?..

სონა. თქვენ არა ერთხელ მარწმუნებდით, რომ... რომ...

ბოქ. რომ მიყვარხართ, გაგიყვებით მიყვარხართ...

სონა. მაშ რომ გთხოვთ რამე ამისრულებთ?..

ბოქ. რასაც კი მიბძანებთ... თქვენთვის ყველაფერს...

სონა. სულ უბრალო საქმეა...

ბოქ. მანც...

სონა. ის, ვანუა, რომ დაიქირეთ, გაუშვით...

ბოქ. ჰა, ჰა, ჰა!.. მეც არ შეგონა.. თურმე ხუმრობთ... ჰა, ჰა, ჰა!

სონა. მე არა ვხუმრობ... თუ გინდათ, რომ თქვენი გრძნობა დაამტკიცოთ, აი ამისრულებთ ეს თხოვნა...

ბოქ. არა მართლა, არა ხუმრობთ? იბა რასა ბძანებთ... ან და განა მაგითი უნდა შეიწუხოთ თავი... ის კაცი ავაზაკია და შესაფერ ჯილდოსაც მიიღებს... იმისი გაშვება ისევე შეუძლებელია, როგორც, როგორც, რა ვიცი... როგორც მკვდრის გაცოცხლება... ან და თქვენ რა გაწუხებთ... განა ღირსია ის, რომ თქვენმა მშვენიერმა ტუჩებმა მისი სახელიც ახსენოს? მაგრამ თქვენ ისეთი ჩვილი გული გაქვთ, რომ ყველა გებრალედათ... ხოლო მე უბედურმა ვერ იქნა ვერ შეგაბრალეთ ჩემი თავი...

ი. გედევანიშვილი.

(შემდეგი იქნება)

